

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გილოცავთ ახალ წელს და განათლების ახალი რეფორმის ტრიუმფალურად დაწყებას!

დაე, მუდამ წარმატებული და დაფასებული ყოფილიყოს საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ გაწეული თქვენი საქმიანობა!

ბევრი თქვენგანისათვის ცნობილია, რომ საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარი“ მრავალი წელია არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობაზე მუშაობს; ამჯერადაც საინტერესო სიახლეებს გთავაზობთ: საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში 4 ახალი საერთაშორისო პროექტის განხორციელებას ვიწყებთ. დღეს ორ მათგანს გავაცნობთ, კერძოდ: მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცისათვის ახალ მათემატიკურ კონკურსს **MathBag**-სა და ინგლისური ენის მსოფლიო ოლიმპიადას **Hippo**-ს. მაშ, ასე:

MathBag – International Mathematical Puzzle Competition

MathBag გახლავთ მათემატიკური თავსატეხების კონკურსი, რომელიც 2018 წლის დეკემბერში კანადაში დაარსდა; თავისი შინაარსით იგი უნიკალური და ინოვაციურია, რადგან კონკურსში წარმატებების მისაღწევად საკმარისია სხარტი, ნათელი გონება და ელემენტარული მათემატიკის ცოდნა! **MathBag**-ის თავსატეხებზე მუშაობა უსათუოდ შეუწყობს ხელს მოსწავლეებში ლოგიკური, კრეატიული და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. **MathBag**-ის ამოცანები იმდენად სახალისო და საინტერესოა, რომ 2019 წლის პირველ იანვარს დაწყებულ კონკურსში უკვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ათიათასობით ბავშვია ჩართული.

ძვირფასო კოლეგებო, ვიმედოვნებთ, თქვენც შეუერთდებით ამ ახალ გამოწვევას და **MathBag** თქვენი სკოლის არამარტო ნიჭით გამორჩეულ, არამედ – დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებსაც კი მიიზიდავს, რითაც შანსი მიეცემათ მათ თუნდაც მცირეოდენი წარმატების მიღწევით, აიმაღლონ საკუთარი თავის რწმენა.

გარდა უნიკალური და ინოვაციური საკონკურსო ამოცანებისა, რით არის საინტერესო მოსწავლეებისათვის საერთაშორისო კონკურსი MathBag? – ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით:

1. **MathBag**-ში მონაწილეობისათვის დაწესებული სარეგისტრაციო გადასახადი გაცილებით მცირეა(\$4-ია), ვიდრე მსოფლიოში არსებული სხვა საერთაშორისო კონკურსების საფასური.
2. თუ სკოლიდან **MathBag**-ში მონაწილეობას მიიღებს არაუმცირეს 20 მოსწავლე, მაშინ მათ შორის საუკეთესოს(დაგროვებული ქულების მიუხედავად), კონკურსის მთავარი ორგანიზატორი დამატებით დააჯილდოებს და კანადიდან გამოუგზავნის კონკურსის მთავარ პრიზს - **MathBag**-ს, რომელშიც იქნება: მედალი, წარმატების სერტიფიკატი, მათემატიკური თავსატეხები, წიგნები, ავტოკალმები და სხვ.

ასე რომ, ძვირფასო კოლეგებო:

- **MathBag**-ზე რეგისტრაცია უკვე დაწყებულია და **23 თებერვალს მთავრდება**;
- **MathBag**-ში მონაწილეობის საფასური არის **11 ლარი** (\$4-ის ექვივალენტი ლარში);
- **MathBag** ჩატარდება **2019 წლის 6 აპრილს** საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში;
- **MathBag**-ში მონაწილეობის მიღება შეუძლია **ნებისმიერ მოსწავლეს მე-4-დან მე-10 კლასების ჩათვლით**; (სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობის უფლება მე-3 კლასელებსაც აქვთ.)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ლოკუმენტში – **Info.MathBag** ;

ქალბატონებო და ბატონებო, მოუწოდებთ თქვენი სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს აქტიურად ჩაერთონ ამ საერთაშორისო პროექტში: **MathBag**-ის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ მოსწავლეებს, დაეხმარონ მათ საკონკურსო დავალებების განხილვასა და კონკურსზე დარეგისტრირებაში;

HIPPO – International English Language Olympiad

HIPPO გახლავთ მსოფლიო ოლიმპიადის ინგლისურ ენაში, რომლის მსგავსი ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში. ამ ოლიმპიადის უნიკალურობა გამოიხატება შემდეგში:

პირველ რიგში, საოლიმპიადო მასალები ძალიან მაღალი დონის ტესტებია, რომელთა დაძლევა საერთაშორისოდ აღიარებული **Gateway Awards**-ის გამოცდების გავლას ნიშნავს; **მეორე** – ოლიმპიადის ფინალური ტური **ვენეციაში** ტარდება, სადაც იკრიბება ინგლისური ენით დაინტერესებული მოზარდების მსოფლიოს Top-100. ფინალში მონაწილეობაც კი, უკვე დიდი გამარჯვებაა არაინგლისურენოვანი მოსწავლისათვის; **მესამე** – ოლიმპიადის **ფანტასტიკური პრიზები აქვს**, კერძოდ:

- **ოლიმპიადის შესარჩევი**(ანუ პირველივე) ტურის ყველა მონაწილე მიიღებს საერთაშორისო **სერტიფიკატს**;
- **ოლიმპიადის შესარჩევი** ტურის ყველა მონაწილე მიიღებს **ამერიკული სკოლის ორმაგი სადიპლომო პროგრამის - Mizzou K-12 Online High School-ის სპეციალურ ფასდაკლებას**;
- **ოლიმპიადის** მონაწილე სკოლები და სკოლის კოორდინატორები მიიღებენ **მაღლობის სერტიფიკატებს**;
- **ფინალურ ტურში** გასულ მონაწილეთა მინიმუმ 50% **GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის მიერ დაჯილდოვდება საერთაშორისოდ აღიარებული **Gateway Awards**-ის **სერტიფიკატით**;
- ყველა **ფინალისტის თანმხლები მასწავლებელი ან მშობელი** უფასოდ მიიღებს ფინალური ტურის ორდღიან ნახევარ პანსიონს (საცხოვრებელს).
- **ფინალური ტურის ნებისმიერი კატეგორიის გამარჯვებულს** საჩუქრად გადაეცემა **Mizzou K-12 Online High School**-ის სრული კურსი;
- **HIPPO 5-ის** გამარჯვებული დაჯილდოვდება **15-დღიანი სწავლებით მისურის უნივერსიტეტში** (აშშ, კოლუმბია//თვითაღმომჩინისა და კარიერული კვლევის კურსი“).

და ბოლოს, იმ მოსწავლეთაგან, რომლებიც **GLOBAL HIPPO ASSOCIATION**-ის დადგენილი წესებით ვერ გადავლენ მომდევნო(ნახევარფინალურ ან ფინალურ) ტურებში, ასოციაცია „ბალავარი“ შეარჩევს საუკეთესოებს და დაჯილდოვებს სპეციალური საჩუქრებით.

ამრიგად, ძვირფასო კოლეგებო:

- **HIPPO-ზე რეგისტრაცია** უკვე დაწყებულია და **15 თებერვალს მთავრდება**;
- **HIPPO** სამი რაუნდისაგან შედგება:
შესარჩევი ტური - **2019 წლის 23-24 თებერვალს**(ტარდება საქართველოში),
ნახევარფინალური ტური – **2019 წლის 30 მარტს**(ტარდება საქართველოში),
ფინალური ტური – **2019 წლის 11-12 მაისს**(ტარდება ვენეციაში);
- **HIPPO-ს** სამივე ტურში მონაწილეობის საფასური არის **30 ლარი(10 ევროს ექვივალენტი ლარში)**;
- **HIPPO-ში** მონაწილეობის მიღება შეუძლია **2000 – 2009 წლებში დაბადებულ ნებისმიერ მოსწავლეს**.

HIPPO-ში მონაწილეობა 2010-2012 წლებში დაბადებულ მოსწავლეებსაც შეუძლიათ.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ლოკუმენტი - **Info.Hippo**

ძვირფასო კოლეგებო, გთხოვთ, ამ მსოფლიო ოლიმპიადის შესახებაც მიაწოდოთ ინფორმაცია თქვენი სკოლის მოსწავლეებს. მისცეთ მათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმში; იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენმა ბავშვებმა კარგად იციან ინგლისური ენა, დარწმუნებული ვართ, მსოფლიოს **Top-100-ში** ქართველი მოსწავლეების დიდი პროცენტული რაოდენობა მოხვდება, მათ შორის კი თქვენი ბავშვებიც აღმოჩნდებიან, რაც სკოლის დიდი გამარჯვება იქნება!

პატივცემულო დირექტორებო, ვიმედოვნებთ, კონკურსებში მონაწილეობის საფასური არ შეგაფერხებთ მუშაობაში, რამეთუ ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მისაღწევად, თქვენი პროფესიული ვალდებულებაა, შემდგომ არჩევანის გაკეთება კი მათი გადასაწყვეტია. მოგეხსენებათ, მიმდინარე რეფორმა სკოლის ხელმძღვანელთაგან კრეატიულ და ინოვაციურ ნაბიჯებს ითხოვს. დარწმუნებული ვართ, აქტიურად უპასუხებთ ამ გამოწვევას!

გისურვებთ წარმატებებს!

საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარი“

28.01.2019